საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 6 ნოემბრის №94 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს პროფ. დავით თავხელიძემ წარუდგინა საკითხი სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულებაში შესატანი ცვლილებები და მე-17 მუხლის 17.1, 17.2 და 17.3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17.1 ინსტიტუტის დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კონკურსის წესით, დაწესებულების სამეცნიერო პერსონალისაგან, თანამდებობაზე ირჩევს დაწესებულების სამეცნიერო საბჭო;

17.2 ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის და კონსკურსის ჩატარების ვადებს ადგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო;

17.3 ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ინსტიტუტის პროფილით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი. დირექტორი აირჩევა 5 წლის ვადით.“

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე